ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78. 78230125**

თარიღი:**12/01/2023**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე. ე“ და ,,ე. ვ“ ქვეპუნქტების და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისათვის სამუშაო ჯგუფი შემდეგი ფუნქციებით:

გიორგი ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, პროცესის საერთო ხელმძღვანელობა;

ბაჩანა მარკოიშვილი-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

კობა მეტრეველი-მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

თეიმურაზი გრძელიშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის ერთეულის-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება;

გივი ბენდიანიშვილი-ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება;

მირანდა მეტრეველი-მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/ კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;

თინათინ ბროლაშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;

ლილი კერესელიძე-ადმინისტრაციული სამსახურის-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტის ვებ- საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;

ირმა მაისურაძე-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა;

2. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბოს ყოველკვირეულად, საჭიროებისას-უფრო ხშირად. სამუშაო ჯგუფის მოწვევას ახდენს მერი ან პროცესზე პასუხისმგებელი მერის მოადგილე.

3. სამუშაო ჯგუფის წევრებმა უნდა იმსჯელონ და განსაზღვრონ მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზები და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხები.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22- ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი